

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

ტარიელ ხავეთასი

ზოოპარკის ბინადართა თავგადასავლები



ილუსტრატორი ნათია კვარაცხელია



გაკურსულაკაურის
გამომცემლობა

სარჩები

როგორ აღმოჩნდა ზროლია ზოოპარკში.....	5
ხარირმების ორთაბრძოლა.....	10
ო, ეს წელქი მაიმუნები.....	13
ზროლია ლომთან.....	34
ფათერაკები... ფათერაკები.....	43
ზოოპარკის ონავარი ზინადრები	54
მშიშარა კენგურუ	59
ქეცვარეზული ლამა	60
წხოველეების მეგობრობა	61
ზოოპარკის სავაჭიო სტყუმარი.....	63
ნიანგები.....	65
ყუნაყური „ძეობები“	71
მეგობრობა და ერთგულება.....	74
ფათევი	78
ბეჭემოთების ოჯახი	86

მოუსვენარი გიგანტები.....	89
ფრთხილად! ფრთხილად! ფრთხილად!.....	101
ძალა სიყვარულისა.....	111
თავგანწირული მომვლელები	119
მხეცები... და ადამიანები... ..	127
როგორ მკურნალობენ მხეცებს	132
წყალოდილობა	142
მოხუცი და შროლია	146

როგორ აღმოჩნდა პროლია ზოოპარკში

ლეკვს თვალეზი მუდამ ჭიშკრისკენ გაურბოდა, ქუჩის ხმაური იზიდავდა, გარესამყაროს გაცნობა აინტერესებდა, მაგრამ ეზოდან არავინ უშვებდა; ჯერ ისევ პატარა იყო – სამიოდე თვისა. თავის თანატოლ და-ძმასთან თამაშით გულს რომ იჯერებდა, ისევ ჭიშკართან მიცუნცულდებოდა, ჩაცუცქედებოდა და ღრიჭოდან გარეთ იყურებოდა.

ერთ დღეს ოცნება აუხდა – მეზობლის ქალს ჭიშკარი ღია დარჩა. ლეკვი მაშინვე ქუჩაში გავარდა, გზას გახედა, მიწა დაყნოსა და მოკურცხლა. მირბოდა და თან აქეთ-იქით აცეცებდა თვალეზს. ამდენ ხალხს არასოდეს შეხვედრია, არც ამდენი გუგუნით მორბენალი სხვადასხვა ფერისა და ზომის „საგანი“ ენახა. ქუჩაზე გადასვლისას რამდენჯერმე კინალამ მანქანას შეუვარდა ბორბლებქვეშ. იმდენი ირბინა, რომ გზა-კვალი სულ აერია. ამასობაში მოშივდა კიდეც, კუჭი აენვა. მიდიოდა და ხის ძირებს გულმოდგინედ ათვალიერებდა, იქნებ პურის ნატეხი ვიპოვოო. ბოლოს, ერთგან შენობის ღია კარი შენიშნა და შევიდა. შენობაში ხალხი ირეოდა. ეს სასურსათო მაღაზია იყო და ხალხი ახლად მიღებული სურსათის რიგში იდგა. სასიამოვნო სუნმა ლეკვს

შიმშილი გაუათკეცა, კუთხეში ჩაცუცქდა და დარბაზი ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა. ცოტა ხნის შემდეგ დახლიდან დიდი, ქრელი კატა გამოვიდა და შუა დარბაზში ჩაცუცქდა. ხალხმა კატას შეხედა. კატამაც იგრძნო, რომ მას უყურებდნენ, და გაიპრანჭა, თათებით პირი ჩამოიბანა, მსხვილი ფაფუკი კუდი გააქანგამოაქანა, მერე წამოდგა და ტანის ნებიერი რხევით ხალხის წინ გაიარ-გამოიარა. უცებ შეჩერდა, გაინაბა, მზერა დახლისკენ გადაიტანა, დაიძაბა, ზამბარასავით დაიჭიმა და დახლში შურდულივით შევარდა. ნუთიც არ გასულა, რომ დახლიდან წრუნუნა გამოათრია. ნანადირევით კმაყოფილი კატა თავმომწონედ ჩაჯდა უკანა თათებზე და თავს გაეთამაშა. ჯერ თათებს შუა მოიქცია, გაჰკრა და გამოჰკრა, მერე მალლა აიტაცა. კარგა ხანს აბურთავა. შიშისაგან თავგზააბნეული წრუნუნა აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ კატის ბრჭალებისაგან თავს ვერ იხსნიდა.

ამ სანახაობით გართულ ერთ-ერთ მანდილოსანს უცებ ისე ხმამალლა გაეცინა, რომ კატა უნებლიეთ შეკრთა, ყურადღება მოადუნა და ეს ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, რომ წრუნუნა გაქცეულიყო და ვინრო სოროში შემძვრალიყო. კატას გუნება ნაუხდა, დაიმანჭა, თითქოს დაიმორცხვა კიდეც. აქა-იქ სიცილიც გაისმა. კატამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, შურისძიების გრძნობამ გაააფთრა. უცებ დაიჩხავლა, მკვირცხლი ნახტომით იმ მანდილოსანთან გაჩნდა, რომლის უცნაურმა სიცილმაც წრუნუნა დააკარგვინა, და

ბასრი ბრჭყალებით ცალ ფეხზე მუხლიდან კოჭამდე წინდა ჩამოახია, თვითონ კი დახლქვეშ მიიმალა. ქალის კივილს რიგში მდგომთა ხარხარი მოჰყვა, ახმაურდა დარბაზი, დაირღვა რიგის წყობა. კუთხეში მიყუჟული ლეკვი ხმაურმა დააფრთხო, გარეთ გაიძურნა და უმისამართოდ ხეტიალი გააგრძელა. შიმშილისაგან ისე დაოსებულიყო, რომ ძლივს მილასლასებდა.

მალე დიდ ეზოს ჩაუარა და შეჩერდა. შორიდან შეიგრძნო უმი ხორცის სუნი, მაშინვე ეზოში შევიდა და გრძელი გაზონის კიდეს გაჰყვა. უცებ ვეებერთელა გალიების რიგთან აღმოჩნდა და თითოეულ გალიაში იმდენი უზარმაზარი მხეცი დაინახა, რომ შიშით კინალამ გული გაუსკდა. მხეცები გემრიელად „ვახშმოზდნენ“.

მშიერი ლეკვი საცოდავად ანკმუტუნდა.

მომვლელ ქალს, რომელიც ცხოველებს ხორცის ნაჭრებს უყრიდა, შეეცოდა ლეკვი და ხორცის პატარა ნაჭერი დაუგდო. ლეკვმა ხორცი თვალის დახამხამებაში გადაყლაპა.

– მშიერი ყოფილა სანყალი, – ჩაილაპარაკა ქალმა და კიდევ დაუგდო ორიოდ ნაჭერი. ლეკვმა ისინიც სულმოუთქმელად გადასანსლა, მერე გახალისებული წამოხტა და ქალს დაედევნა, წამოენია, ფეხებში ჩაუვარდა, მადლიერების ნიშნად ფეხსაცმელები გაულოკა. ქალს შეებრალა ლეკვი, ხელში აიყვანა, მიუალერსა, მკერდზე მიიხუტა.

– გატყობ, პატრონი არა გყავს, ჩვენთან დარჩი. დროებით, აი, ამ გალიაში იცხოვრე, მერე კი უკეთეს

ბინას გამოგინახავ, – მიეფერა ქალი და ლეკვი მხეცების რიგში ცარიელ გალიაში შესვა, თუმცა კარი არ ჩაურახავს. ლეკვი ქალს თვალებში შეჰყურებდა და კუდს აქიცინებდა.

– ჯერ ალბათ სახელიც არ გაქვს. მოდი, მე დაგარქმევ. რადგან ასეთი ქათქათა თეთრი ხარ, ბროლია გერქვას. ამიერიდან შენ ჩემი ბროლია იქნები, – ქალმა გისოსებს შორის ხელი შეყო, ლეკვს თავზე მიეფერა და წავიდა.

ბროლიამ ფართო გალია მოათვალიერა, მერე ერთ კუთხეში მოკალათდა, წინა თათებზე თავი ჩამოდო და გაიტრუნა.

მალე დაღამდა კიდეც, ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.

შუალამისას ბროლია ცხოველების ღრიალმა და ღმუილმა წამოახტუნა. შეშინებული კუთხეში მიიყუჟა, თავი თათებში ჩარგო და თვალები დახუჭა. ხმაური მალევე მიწყნარდა და ბროლიასაც ჩაეძინა.

ზოოპარკის ახალ ბინადარს დილით ადრინად გაეღვიძა. გალია შემოირბინა, მერე ღია კართან მივიდა, გარეთ გასეირნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და იქვე ჩაჯდა. უცებ თვალი მოჰკრა გალიების მწკრივისკენ მომავალ მომვლელ ქალს. ბროლია მაშინვე კუდის ქიცინით გადახტა მის შესაგებებლად. ახლოს რომ მივიდა, უკანა თათებზე შედგა და წინა თათები კაბაზე აღერსიანად ჩამოუსვა.

– მიცანი, ჩემო პატარავ? – მიუალერსა მომვლელმაც,

– საუზმე შენს გალიაში მიირთვი, – ბროლია გალიაში შესვა, მათლაფაზე ხორცის ნაჭრები დაუნყო და გზა სხვა გალიებისაკენ განაგრძო.

ჭამის დამთავრებისთანავე ბროლია ხალისით გავარდა გარეთ და მისთვის უცხო და საკვირველი გარემოს დათვალიერებას შეუდგა. მთელი ზოოპარკი შემოიბინა. რა არ ნახა: ლომი თუ ვეფხვი, დათვი თუ ჯიქი, მგელი თუ ტურა, სპილო თუ აქლემი, ფარშევანგი თუ ხოხობი, ჯიხვი თუ შველი. ერთი სიტყვით, ვინ მოთვლის, რამდენ და რა სახის ცხოველს გაეცნო.

ხარირმების ორთაბრძოლა

ბ ალიებს შორის მოსეირნე ბროლიას ყურადღება უჩვეულო ხმაურმა მიიქცია და იქით გაიქცა, საიდანაც ხმაური ისმოდა.

უზარმაზარი, დატოტვილრქებიანი ხარირემი ფშვინავდა, ემუქრებოდა და თვალებით ჭამდა ვოლიერის ხის კედლის იქით მდგარ მასავით რქებდატოტვილ ხარირემს, რომელსაც მეგობარი ფურირემი ამოსდგომოდა გვერდით. მუქარამ რომ არ გაჭრა, მოძალადე ირემმა რქების ძლიერი დარტყმით გადაანგრია ხის ჯებირი და მეორე ირმის პირისპირ აღმოჩნდა.

ირმები დაიძახნენ, ზამბარებივით დაიჭიმნენ და ერთმანეთს გაშმაგებით დაეძგერნენ. გაჩაღდა სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა.

ბროლიამ იგრძნო, რომ უბედურება ხდებოდა, და მომვლელი ქალის საძებნელად გაიქცა. მალე იპოვა კიდევ ლომების ვოლიერთან. კაბის კალთაზე კბილები ჩაავლო და იქით გაქაჩა, საითაც ირმები ებრძოდნენ ერთმანეთს. ქალი მიხვდა, რალაც ხდებაო, და ლეკვს აჩქარებული ნაბიჯით გაჰყვა...

ზოოპარკში განგაში ატყდა. ირმების ვოლიერთან ზოოპარკის თანამშრომლები შეკრებილიყვნენ, მაგრამ გამძვინვარებულ ცხოველებთან შესვლას ვერავინ ბედავდა, გარედან კი მოჩხუბრების დამოშმინება შეუძლებელი იყო.

ბრძოლა ნახევარ საათს გაგრძელდა: ხან ერთი ირემი ჩაიჩოქებდა, ხანაც – მეორე. თანდათან ორივეს დაღლა დაეტყო, მძიმედ სუნთქავდნენ, მაგრამ ბრძოლას მაინც არ წყვეტდნენ, გამეტებით სცემდნენ რქებს ერთმანეთს. ფიცხელ ბრძოლაში დამხვდურ ხარირემს საბრძოლო იარაღი – რქა მოსტყდა და ხმაურით დაეცა მიწაზე. გაოგნებული ირემი ადგილზე გაშეშდა, მაგრამ ბრძოლის ველიდან გაქცევა არც უცდია. იდგა ამაყად, ნირ-შეუცვლელად და უშიშრად გაჰყურებდა გააფთრებულ მონინააღმდეგეს. მან კი „უიარაღო“ არ დაინდო და ისე მძლავრად დაეტაკა ფერდში, რომ რქებით გულ-მკერდი შეუნგრია. ხარირემი მიწას დაენარცხა, უკანასკნელად გახედა მეგობარ ფურირემს და თვალები სამუდამოდ დახუჭა.

გამარჯვებული ხარირემი ამაყად თავანეული იდგა. მისი გასისხლიანებული რქები დილის მზის სხივებზე უცნაურად ლაპლაპებდა. მერე მოეშვა, თავი დახარა, ჩაიფრუტუნა და დინჯი ნაბიჯებით გაემართა ფურირმისაკენ, რომელიც გაქვავებული იდგა და თვალს არ ამოორებდა განგმირულ მეგობარს. მისკენ მიმავალი ხარირემი რომ დაინახა, ფური თითქოს გამოერკვა, მკაცრი მზერა შეაგება და ისეთი ხმით მიაბლავლა, რომ ხარირემი ადგილზე გაიყინა.

ამასობაში მოკლული ცხოველი ზოოპარკის თანამშრომლებმა ავტოკარზე* დადეს და ვოლიერიდან

* ავტოკარი – თვითმძრავი ურიკა, რომელსაც ტვირთის გადასაზიდად იყენებენ.

გაიტანეს. სწორედ მაშინ შეინძრა ფურირემი, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, ადგილიდან მოწყდა და ვოლიერის უკვე ჩაკეტილ კარს მივარდა. კარს მთელი ტანით მიანვა, მაგრამ რომ ვერ გააღო, განწირული ბლავილი მორთო. მერე შებრუნდა და ის ადგილი დაყნოსა, სადაც წუთის წინ მისი მკვდარი მეგობარი იწვა. ისევ ბლავილი მორთო, ვერ ისვენებდა, წრიალებდა და ფრუტუნებდა, საშველს ეძებდა. მერე გაიქცა, ვოლიერს შემოურბინა, წამით შეჩერდა, მაინც ვერ დამშვიდდა, ვერ მოისვენა. ისევ გაიქცა, ისევ შემოურბინა ჩაკეტილ ვოლიერს... კარგა ხანს ასე დარბოდა გამწარებული. ვერავინ შეძლო მისი შეჩერება, არც მომვლელებს ემორჩილებოდა. ბოლოს დაღლილობისგან ნესტოები დაებერა, აქოშინებული ძლივს მილასლასდა იმ ადგილთან, სადაც ხარირმის სისხლი მიწას ჯერ კიდევ არ შეშრობოდა. შეჩერდა, ჩაიჩოქა, მეგობრის სისხლს ტუჩი დააკრა და ბლავილით დაეცა მიწაზე. ფურირემის ცრემლიან თვალებში სიცოცხლის ნიშანწყალი გამქრალიყო.

გამარჯვებული ხარირემი, რომელსაც თავი ჩაექინდრა და გაუნძრევლად იდგა, შეინძრა, შებრუნდა, თავისი ვოლიერისაკენ ზანტად წავიდა, გადმონგრეულ ბარიერზე გადაიარა, სადგომში შევიდა და მთელ დღეს გარეთ აღარ გამოსულა...

ო, ეს წელქი მაიმუნები

ნაშუადღევს ბროლია ისევ ეზოში გავიდა, ბილიკს გაუყვა და მაიმუნების გალიას მიადგა. გალიაში ორი მაიმუნი ბინადრობდა. ერთი მშვიდად წამოწოლილიყო ხის ტოტზე, მეორე კი – აქეთ-იქით დახტოდა. ბროლია იდგა და მაიმუნის მანჭიაობით ერთობოდა.

გალიაში თავზე ხილაბანდნაკრული ქალი შევიდა და იატაკის დასუფთავებას შეუდგა. უცებ ონავარი მაიმუნი ტოტიდან ჩამოხტა, ქალს თავიდან თავსაფარი წაგლიჯა და ისევ ხეზე ახტა. ქალი ჯერ შეცბა, მერე იქვე მშვიდად წამოწოლილ მეორე მაიმუნს გადახედა და სახე ხელებში ისე ჩამალა, თითქოს ტიროდა:

– შეხედე, რა მიყო შენმა ამხანაგმა! როგორ წავიდე უთავსაფროდ? დამეხმარე, წაართვი იმ ონავარს ჩემი თავსაფარი! – წუნუნებდა ქალი.

თითქოს ქალის ხვეწნა-მუდარა გაიგოო, მაიმუნი მკვირცხლად წამოხტა, ონავარს თავსაფარი წაართვა და ერთი მაგარი ალიყურიც უთავაზა. მერე ძირს ჩამოხტა, ქალთან მივიდა და წართმეული დაუბრუნა. ქალმა მაიმუნს თავზე ხელი გადაუსვა, ხელჩანთა გახსნა და იატაკზე ფორთოხლები დაულაგა. მაიმუნი გახალისდა, ერთი ფორთოხალი კბილებით დაიჭირა, ორი ილღიებში ამოიჩარა და ორიც ხელებით ჩაბლუჯა, მაგრამ ერთი ფორთოხალი მაინც დარჩა. მაიმუნი წამით დაფიქრდა,

არ იცოდა, რა ექნა, ბოლოს, ფორთოხალი თათებს შორის მოიქცია, სკუპ-სკუპით კუნძთან მივიდა, ჩამოჯდა და ხილი იქვე დაილაგა. მერე ქალს მადლიერი თვალეზით გადახედა, ფორთოხალი გაფცქვნა და მადიანად შეექცა. ონავარი მაიმუნი დატუქსულივით გალიის ბადეზე ჩამოკიდებულიყო და ნერწყვის ყლაპვით უყურებდა ამხანაგს.

* * *

მაიმუნს, რომელსაც პეპეს ეძახდნენ, ლუდი შეჰყვარებოდა. გართობის მოყვარულთაც მეტი რა უნდოდათ, „პატივისცემას“ არ აკლებდნენ მაიმუნს და ლუდით „ასაჩუქრებდნენ“ ხოლმე. პეპეც ხალისით იღებდა ძღვენს, ჭიქაში დარდიმანდულად ჩაისხამდა და გადაჰკრავდა. მერე კი ცეკვა-თამაშით იკლებდა გალიას, თვითონაც იცინოდა და ხალხსაც აცინებდა. მაიმუნი თანდათან ისე შეეჩვია ალკოჰოლს, რომ უარს აღარც არაყზე ამბობდა.

უნესო ქცევისათვის ერთხელ მომვლელმა მისი გალახვა მოინადინა, ჯოხით ორჯერ-სამჯერ შემოჰკრა კიდეც და დაუტატანა. პეპემ დატუქსვა იუკადრისა, ქალს ჯოხი ხელიდან გამოჰგლიჯა და გალიიდან ცემატყეპით გააგდო.

* * *

ზოოპარკში ერთი ძალიან ნყნარი და მშვიდი ორანგუტანი ბინადრობდა. ონავარი ბიჭები ხშირად ცდილობდ-